# შანტაჟისთვის გამიზნული ტყვია

ოზურგეთში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის შიგნით და ირგვლივ ატეხილი „აჟიოტაჟი“, რომელიც საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, კიდევ უფრო მრავალ კითხვას ბადებს, რადგან, თვით ქარხნის დღევანდელი მეპატრონეები – ინდური კომპანია „მანსაროვარი“ და მისი მოიჯარე შპს „ჯეო გადამამუშავებელი“ თავგამოდებით უარყოფენ ყოველივე იმას, რასაც თვითმხილველები და თვით ამ საწარმოში მომუშავენი ადასტურებენ.

მართალია, ადამიანებს უჭირთ აღიარება, როდესაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში ამხელენ, მაგრამ ყველა საკუთარი თავის წინაშე მაინც აგებს პასუხს საკუთარ საქციელზე, თუ რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია.

სამართალდარღვევა შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს, კანონსაწინააღმდეგო ქმედება კი დანაშაულია და იგი კიდევ უფრო მძიმდება მაშინ, როცა დამნაშავე საკუთარ დანაშაულს სხვებს გადააბრალებს, მითუმეტეს იმას, ვინც დანაშაულის წინააღმდეგ იბრძვის. ასეთი შეფასება „მანსაროვარისა“ და „ჯეოგადამამუშავებელის“ მიმართებაში იმიტომ დაგვჭირდა, რომ საკუთარი ნამოქმედარის დაფარვისა და გაბათილების მიზნით ჟურნალისტების დადანაშაულებას ცდილობენ და ბრალს დებენ იმაში, რომ მათ გამო საწარმოში მუშაობა შეჩერდა და რამდენიმე ოზურგეთელი უმუშევარი დარჩა. მაგრამ, არა მარტო ჟურნალისტებისათვის, ფართო საზოგადოებისთვისაც კარგად არის ცნობილი, რომ მანქანათმშენებელში „ჯეო გადამამუშავებელის“ საქმიანობის შეჩერების შემდეგ, მუშები მცხეთაში,, კერძოდ, წეროვანში გადაიყვანეს და იქ დაასაქმეს მსგავსი ტიპის საწარმოში. ასე რომ, ვისაც მუშაობის სურვილი ჰქონდა, უმუშევარი არ დარჩენილა(?!).

მაგრამ, მაინც, ერთი კონკრეტული ფაქტის შესახებ გვინდა საზოგადოებას და მანქანათმშენებლის დღევანდელ მესვეურთ ვუამბოთ და ამით, ალბათ, ბევრ კითხვასაც გაეცემა პასუხი!

საყოველთაოდ დადგენილი წესია, საახალწლოდ ყველა საწარმოდაწესებულება ისვენებს და წეროვანის აკუმულატორების გადამამუშავებელმა საწარმომაც მისცა შვებულება თავის მუშა-მოსამსახურეებს. ოზურგეთელებიც ოჯახებში დაბრუნდნენ ახალი წლის

გვ-2


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №6 (10147), 8 თებერვალი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

## ნათია შარაშენიძე: „თქვენ, ვინც წინააღმდეგი წადით საჯაიას გადაყენებისა, მონაწილე ხართ იმ ძალადობისა, რაც მან ჩემს მიმართ განახორციელა“

## ირინა საჯაია: „საერთოდ, მირჩევნია უფრო ღირსეული მტერი მყავდეს“

ალიონი. 1 თებერვალს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მორიგმა სხდომამ თავის დღის წესრიგში მეხუთე საკითხად შეიტანა საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატების ნათია შარაშენიძის, ლევან მგელაძის, თამარ ნადირიძისა და გოჩა ძიმისტარიშვილის მოთხოვნა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ირინა საჯა-

გვ-2

## ყველაზე სასიხარულო ინფორმაცია

დღეიდან, რუბრიკით „ყველაზე სასიხარულო ინფორმაცია“ პირველ გვერდზე დაიბეჭდება მკითხველისაგან მოწოდებული ამ შინაარსის მატარებელი წერილი.

დღევანდელი ნომრის მართლაც ყველაზე სასიხარულო ინფორმაცია კი მოგვაწოდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონულმა ორგანიზაციამ:

**ქ. ოზურგეთის №1 საბავშვო ბაღის აღმზრდელს, ქალბატონ მაკა ურუშაძეს შეეძინა მეხუთე შვილი პატარა ანა ჩხაიძე!**

## პაატა ბურჭულაძის ფონდმა ოზურგეთში ოფისი გახსნა

ალიონი. 5 თებერვალს, ქალაქ ოზურგეთში, გურიელის ქუჩაზე ორგანიზაცია „საქართველოს განვითარების ფონდის“ რეგიონული ოფისი გაიხსნა. ფონდის გახსნას დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე, ფონდის სხვა წევრები და ადგილობრივები დაესწრნენ.

„საქართველოს განვითარების ფონდის“ თავმჯდომარე პაატა ბურჭულაძემ, ფონდის აღმასრულებელ დირექტორ ვანო მაჭავარიანთან, პოლიტიკურ მრჩეველ ხათუნა ლაგაზიძესთან და ადგილობრივ წარმომადგენელ ალეკო მამეიშვილთან ერთად რეგიონული ოფისი გახსნა.

– „მე ძალიან მიხარია, რომ ოზურგეთში გაიხსნა ოფისი, რაც მეც ისევე მახარებს, როგორც იმ ადამიანებს ვისაც ამის სურვილი და მოლოდინი ჰქონდა.“ - განაცხადა პაატა ბურჭულაძემ, ლენტის გაჭრის შემდეგ

ფონდის გახსნის შემდეგ, პაატრა ბურჭულაძემ და ფონდის სხვა წევრებმა ფეხით გაიარეს გურიელის, გიორგი ჭანტურიას და გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩები და ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრნენ.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ორგანიზაციის წესდების მიხედვით, ფონდის მიზანია წარუდგინოს ფართო საზოგადოებას წინადადებები შემდეგი მიმართულებით: სახელმწიფო მმართველობა და დემოკრატია, კონსტიტუციური საკითხები, ეკონომიკური პოლიტიკა, ადამიანის უფლებები, ჯანდაცვა და სოციალური საკითხები, ენერგეტიკა და გარემოს დაცვა, საგარეო პოლიტიკა, სამოქალაქო შერიგება.

ჩვენ უნდა გავერთიანდეთ იმისთვის, რომ ის მდგომარეობა, რაც არის საქართველოში, შევცვალოთ– განაცხადა ბურჭულაძემ.

ცალკეულ საკითხებზე სიტყვებით გამოვიდნენ ფონდის პოლიტიკური მდივანი ვანო მაჭავარიანი, გიორგი რუხაძე, ირაკლი ყიფიანი, გიორგი პაპავა, დავით ჯანდიერი, გელა ქანთარია, დავით ჯოლოხავა...

ადგილობრივებიდან საინტერესო წინადადებებით გამოვიდნენ სათემო კავშირ „იმედის“ თავმჯდომარე კობა ცერცვაძე, ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის დეპუტატი, ბიოფერმერი დავით თენიეშვილი, ექიმი ირინა გოგუაძე და სხვები.

– თუ საქართველოს ეკონომიკამ ასე გააგრძელა განვითარება, ჩვენ 15 წელიწადში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა ვიქნებით. ამიტომ ქვეყანა ნეპოტიზმით არ უნდა იმართებოდეს.

ორგანიზაციის სახელწოდებაა "პაატა ბურჭულაძე - საქართველოს განვითარების ფონდი". მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თავად პაატა ბურჭულაძეა, აღმასრულებელი დირექტორი - პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ყოფილი მრჩეველი ივანე მაჭავარიანი. ფონდის მიზანი ქვეყნისთვის აქტუალური საკითხების განხილვა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციაა. ფონდის წარმომადგენელი ოზურგეთში გურიის აგრობიზნესცენტრის დამფუძნებელი ალეკო მამეიშვილია. იგი წინა მოწვევის ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარედ იყო.

## გაზეთი „ალიონი“ სარედაქციო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

## ნათია შარაშენიძე: „თქვენ, ვინც წინააღმდეგი წადით საჯაიას გადაყენებისა, მონაწილე ხართ იმ ძალადობისა, რაც მან ჩემს მიმართ განახორციელა“

### ირინა საჯაია: „საერთოდ, მირჩევნია უფრო ღირსეული მტერი მყავდეს“

იას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

სხდომაზე დამსწრე 13 დეპუტატიდან საჯაიას, გადაყენებას, ფარული კენჭისყრით, მხარი მხოლოდ ოთხმა დეპუტატმა დაუჭირა, 9 კი წინააღმდეგი წავიდა.

სხდომას არ ესწრებოდა ქალაქის საკრებულოში „თავისუფალი დემოკრატების“ დეპუტატი თემურ სალუქვაძე.

სხდომის დასასრულს ნათია შარაშენიძემ საჯაიას გადაყენების მოწინააღმდეგე დეპუტატებს მიმართა:

„თქვენ, ყველანი, თქვენი დღევანდელი ქმედებით, ხართ თანამონაწილეები იმ მუქარისა, რომელიც ირინა საჯაიამ ჩემს მიმართ განახორციელა და ფეხქვეშ გაგდებით დამემუქრა. არაუშავს, უკვე 2016 წელია, დამთავრდება ეს ყველაფერი და მალე დავინახავ თქვენს სხვანაირად გაღიმებულ სახეებს“.

კენჭისყრის შედეგით კმაყოფილი ირინა საჯაია „ალიონთან“ უფრო მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

„ფარულმა კენჭისყრამ ლოგიკური შედეგი აჩვენა, რასაც, მართალი გითხრათ, ველოდი. ღა გითხრათ, საერთოდ, მირჩევნია, უფრო ღირსეული მტერი მყავდეს“.

ოპოზიციონერი დეპუტატების თქმით, ამ სხდომაზე „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მხარს უჭერს ძალადობას ზუსტად ისე, როგორც ამას აკეთებდა „ნაციონალური მოძრაობა“.

„ოცნების“ დეპუტატების აზრით კი, ოპოზიციას მორიგი პროვოკაცია და სკანდალი ჩაეფუშა.

ინციდენტი შარაშენიძესა და საჯაიას შორის მოხდა 27 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ. გავრცელებული ინფორმაციით, დეპუტატმა ქალებმა იმ დღეს ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

## როდის ეღირსება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს თავისი გერბი და დროშა?

**ალიონი.** ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, თუ არ ვცდები, უკვე მესამედ გაუგრძელა უფლებამოსილების ვადა გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს, ამჯერად 1 თებერვლის სხდომაზე.

როგორც სამანდატო საპროცედურო, ეურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ირინა საჯაიამ აღნიშნა, წინა უფლებამოსილების ამოწურვის ვადის ამოწურვის შემდეგ, შემოსულია ერთი კონკურსანტის, მხატვარ თამაზ დარჩიას ნაშრომი, რომელიც გაგზავნილია ჰერალდიკის საბჭოში. სამუშაო ჯგუფს უფლებამოსილების ბოლო (იმედია, რომ ასე იქნება) ვადა ერთი თვით გაუგრძელდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში უგერბოდ და უდროშოდ იქნება, შემდეგ კი ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ოპერატიულად გამოავლენს ჰერალდიკის საბჭო გამარჯვებულ ნამუშევარს.

## რა არის შეურაცხყოფა?

**თემურ მარშანიშვილი**

ამ კითხვამ საპარლამენტო სესიებიდან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების სხდომებზე გადმოინაცვლა. ეს კითხვა დაისვა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 1 თებერვლის სხდომაზეც, როცა იხილავდნენ საკითხს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძემ დასვა საკითხი, მას, როგორც საკრებულოს თავმჯომარეს, მიეცეს უფლება, საკრებულოს სხდომაზე რომელიმე დეპუტატის მიერ რომელიმე დეპუტატზე ან სხდომის მონაწილეზე შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევაში, სხდომა დაატოვებინოს შეურაცხმყოფელს.

საკრებულოს თავმჯდომარეს არ დაეთანხმნენ ოპოზიციონერი დეპუტატები, მოტივით ვჯერ უნდა განისაზღვროსო რა იგულისხმება შეურაცხყოფაში.

– ვერ დაგეთანხმებით, რადგან ჯერ ის არ გითქვამთ, რა იგულისმება შეურაცხყოფად?, მაგალითად, კარიკატურის გამოქვეყნება პოლიტიკური ბრძოლაა და არა შეურაცხყოფა. საინტერესოა, მაინც, როგორ აპირებთ ამას?– დებატში შევიდა მასთან დეპუტატი ნათია შარაშენიძე.

– დავაკვირდები სხდომის მსვლელობას. მოვისმენ თქვენს დებატებს. თუ საჭირო გახდა, სხდომასაც შევწყვეტ და მივიღებ შესაბამის გადაწყვეტილებას. – უპასუხა საკრებულოს თავმდომარემ.

– ერთპიროვნულად? ბატონო გელა, თქვენ საკრებულოს თავმჯდომარე ხართ თუ დიქტატორი? – ნიშნისმოგებით ჰკითხა შარაშენიძემ.

დეპუტატ გოჩა ძიმისტარიშვილის აზრით, ასეთი ფაქტის შემთხვევაშიც კი ეს დადგენილება ტექნიკურად შეუსრულებადი იქნება:

– დავუშვათ არ გავიდა დარბაზიდან, მანდატურს უხმობს? სად ჰყავთ მანდატური? აიყვანონ. ეს სისულელეა, დარჩება ქაღალდზე დაწერილი. ეს რომელიმე „ქოცი“ დეპუტატის ხუმრურია. ამათ იციან, რომ ხალხს სანახაობა სჭირდება, მაგრამ არ იციან, როგორ მოაწყონ.

**P.S.** ბატონო პოლიტიკოსებო, მინისტრებო, პარლამენტარებო, დეპუტატებო მუნიციპალიტეტების საკრებულოს წევრებო, „ქოცებო“ თუ „ნაცებო“, ყველას ბოდიშს გიხდით, მაგრამ ამდენ დავი-დარებაში მეც რომ არ „გამოვხუმრდე“, მოდით, ერთხელ ერთად გადავხედოთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს:

**შეურაცხყოფა** – უპატიოდ, უხეშად, არასაკადრისად მოქცევა მოპყრობა, დამცირება.

აქვე, ცოტა ზემოთ განმარტებულია ამ თემისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი სიტყვა შეურაცხი:

**შეურაცხი** – თავისი ქცევისათვის პასუხისმგებლობის უნარის არმქონე პირი.

დედებს გაფიცებთ, ამ ბოლო სიტყვის განმარტებაში არაფერი გენიშნათ?!

## მურთაზ აბაშიძე უნდა აღადგინონ სტადიონის დირექტორად

**ალიონი.** მედიასა და სოცქსელში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მურთაზ აბაშიძე უნდა აღადგინონ ოზურგეთის სტადიონის დირექტორად.

აღნიშნული ინფორმაცია „ალიონთან“ საუბარში დაადასტურა თვით მურთაზ აბაშიძემ.

ქალაქის მერია ამ საკითხზე კომენტარისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს:

„ქალაქის ხელმძღვანელობა ამ საკითხზე კომენტარს გააკეთებს უზენაესი სასამართლოდან მურთაზ აბაშიძის გამამართლებელი განაჩენის მიღების შემდეგ“, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ხათუნა შარაძემ

ოზურგეთის პროკურატურის თქმით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნება უზენაესი სასამართლოდან შესაბამისი განცხადების მიღების შემდეგ.

## „ფტონტერა“ „გვაბოლებს“ თუ კალაძეს სძინავს?!

**ალიონი.** „სამიდან ხუთ წლამდე პერიოდში საქართველო გაზის ექსპორტიორი გახდება და შეძლებს ბუნებრივი აირით თურქეთი და აღმოსავლეთ ევროპა მოამარაგოს“. – ეს განცხადება, **bfm.ge**-ს ინფორმაციით, ვაშინგტონში, ატლანტიკურ საბჭოში კომპანია „ფტონტერას“ ხელმძღვანელს გაუკეთებია საქართველოში აღმოჩენილ გაზის რესურსებზე საუბრისას.

„ვფიქრობთ, რომ საქართველოში აღმოჩენილი გაზის რესურსი, დაახლოებით 5 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. საბადო აღმოსავლეთ საქართველოშია. მოცულობა ბაზარზე 10 წლის განმავლობაში გავა და გაზის მიწოდების კუთხით თამაშის წესებს შეცვლის. საქართველო გაზს მიაწვდის თურქეთს და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებს. სამიდან ხუთი წლის ვადაში საქართველო გაზის ექსპორტიორი გახდება“. – უთქვამს ბატონ სტივ ნიკარსონს.

„ფტონტერას“ თავკაცი „გვაბოლებს“ თუ ჩვენს ენერგეტიკის მინისტრს სძინავს? თუ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, რატომ არ უნდა იცოდეს ამის შესახებ საქართველოს საზოგადოებამ? და თუ ახლო პერსპექტივაში გაზის მსხვილი ექსპორტიორი გავხდებით, მაშინ რაღას ვეაჯებით ამდენს რუსეთსა და აზერბაიჯანს, არ დაგვღუპოთ, უგაზოდ არ დაგვტოვოთო?!

## მთავარი პროექტი ვაკიჯვარი-ფამფალეთი-მთისპირის დამაკავშირებელი გზა იქნება

**ალიონი.** 2 თებერვალს სოფელ ვაკივკვრის ამომრჩევლებმა ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის **ვახტანგ (ბაჩანა) ნიჟარაძის** ანგარიში მოისმინეს.

შეხვედრას ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძე უძღვებოდა. ბაჩანა ნიჟარაძემ ბოლო ერთ წელიწადში განხორციელებულ აქტივობებზე ისაუბრა.

ამომრჩევლებმა ნინო გუჯაბიძემ, ლამარა ხაჩიძემ, ნანა კაცაძემ, მაია კვაჭაძემ, ანდრო გიორგაძემ სოფლის ამბულატორიის რემონტის აუცილებლობაზე, მდინარე ნატანებზე ხიდის, სოფლის ცენტრში მოსაცდელის მშენებლობის, წყლის პრობლემის და სოფელ ვაკივკვრისათვის მაღალმთიანი სოფლის სტატუსის შესახებ დააყენეს საკითხი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ 2016-17 წლებში ფამფალეთი-მთისპირის გზის რეაბილიტაციაზე ისაუბრა და ამომრჩევლებს ვაკივკვრის ამბულატორიის რემონტზე მხარდაჭერა გამოუცხადა.

## სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული მართვის დეპარტამენტის გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ნინო შეწირული დაინიშნა

დანიშვნის შესახებ ბრძანებას სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზაზა დოლიძემ მოაწერა ხელი.

ნინო შეწირული დღემდე სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორად მუშაობდა.

სააგენტოს ინფორმაციით ნინო შეწირულს დამთავრებული აქვს საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი, საქონელმცოდნეობის სპეციალობით.

ფლობს მაგისტრის ხარისხს და არის დოქტორანტი. ასევე დამთავრებული აქვს თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის კვების მრეწველობისა ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტი კვების ტექნოლოგის სპეციალობით.

# შანტაჟისთვის გამიზნული ტყვია

შესახვედრად. სოფელ დვაბზუში რამდენიმე ახალგაზრდა დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ერთ-ერთი მათგანია გოგა ცერცვაძე, რომელსაც სოფელი დვაბზუ და ყველა ნაცნობ-მეგობარი იცნობს, როგორც წესიერ, პატიოსან და შრომისმოყვარე ახალგაზრდას. იგი ერთი წელია, რაც ოზურგეთიდან არის წასული და სხვაგან განაგრძობს საქმიანობას. რომ არა გოგას დაჟინებული მოთხოვნა – საზოგადოებას გაეგო მისი აზრი და გამოქვეყნებულიყო მისივე შეხედულებები „ჯეო გადამამუშავებელისა“ და ჟურნალისტების დაძაბული ურთიერთობის შესახებ, ალბათ, ცოტა ხნით მაინც არ გავამახვილებდით ყურადღებას აკუმულატორებისა და მისი გადამუშავების შედეგებზე, რადგან ახალი წლის დადგომამდე და შემდეგაც, მრავალი ვრცელი მასალა გამოქვეყნდა გაზეთ „ალიონში" და ლამის მთელი ინტერნეტსივრცე მოიცვა ინფორმაციამ ამ საკითხთან დაკავშირებით.

გოგა ცერცვაძემ მკაფიო სურვილი გამოთქვა, რომ დაიწეროს გაზეთ „ალიონში“ მისი აზრი იგივე ჟურნალისტების მიერ, რომლებიც პერიოდულად აშუქებენ „ჯეო გადამამუშავებელის" გარშემო განვითარებულ მოვლენებს.

ჟურნალისტთან მოულოდნელი სტუმრობისას, მისი პირველი მოთხოვნა ასეთი იყო – გამსინჯეთ, მე ჯანმრთელი ვარო! – კარგია, რომ ახალგაზრდა ჯანმრთელად გრძნობს თავს, მაგრამ მარტო მან არა, „მანსაროვარის“ ინდოელმა წარმომადგენელმაც მსგავსი სურვილი გამოთქვა ერთ-ერთ შეხვედრაზე, – მე სადაც ვმუშაობ, იქვე ვცხოვრობ და თუ ეჭვი გეპარებათ ჩემს ჯანმრთელობაში, აგერ ვარ და გამსინჯეთო!

ისე, თუ ვინმეს თავისი ჯანმრთელობის შესახებ დამადასტურებელი საბუთი სჭირდება, ჟურნალისტებს კი არა, ექიმს უნდა მიმართოს!

დავუბრუნდეთ გოგას განცხადებას. – რას გვერჩით, ჩვენ რას ვაშავებთ? ვმუშაობთ პატიოსნად და გვინდა გავაგრძელოთ მუშაობა. თქვენს გამო უმუშევრები ვრჩებითო.

შეკითხვაზე, თუ ერთი წელია წასული ხარ და სხვაგან განაგრძობ შენს საქმიანობას, ოზურგეთის მანქანათმშენებელში მიმდინარე საქმიანობაზე გამოქვეყნებული წერილები ხელს რაში გიშლით? – გოგა ცერცვაძის პასუხი ასეთი იყო: მაგ წერილების და პირადად მთავარი რედაქტორის (იგულისხმება ნუგზარ ასათიანი) ბრალია, რომ ოზურგეთში გაჩერდა აკუმულატორების მიღება, ამდენი ხალხი გადახვეწილები ვართ და ყოველდღე ველოდებით უკან დაბრუნებას. გვპირდებიან დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ, მოვაწესრიგებთ საბუთებს და განვაახლებთ მუშაობასო. თქვენ კი არ გვაძლევთ ამის საშუალებას და „ულუკმაპუროდ" გვტოვებთ!

ამ შეხვედრას ესწრებოდა გოგას მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, რომლისკენაც ხელი გაიშვირა გოგამ და საყვედური გამოთქვა – „ამას ლუკმას აცლით პირიდანო!"

დამთრგუნველი იყო ამის მოსმენა, რადგან გურიის უძველესი გაზეთისთვის მსგავსი ბრალდება, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

გოგა ცერცვაძესთან შეხვედრას, ბუნებრივია, ინტერვიუს ფორმა არ ჰქონდა, რადგან ცხარე კამათისას გაკეთებულ განცხადებებში, იგი მყარად იცავდა თავის პოზიციას და უარყოფდა ყველა არგუმენტს „ჯეო გადამამუშავებელთან" დაკავშირებით.

თავისებურად, გოგა მართალია! მას, სხვა ახალგაზრდების მსგავსად, მუშაობა უნდა, ეს ძალიან კარგია. მაგრამ, უფრო კარგი იქნება, თუ მათი მდგომარეობით მავანნი არ ისარგებლებენ და ბრმა იარაღად არ გამოიყენებენ, რადგან ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მჭიდროდ მცხოვრები მოსახლეობა მართლაც სავალალო მდგომარეობაში იმყოფება სწორედ „ჯეო გადამამუშავებელში" წარმოებული საქმიანობის გამო.

ერთი რამ არის კიდევ ყურადღებამისაქცევი. ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ ყველა შეხვედრაზე „ჯეო გადამამუშავებლის" მენეჯერი სალომე ქათამაძე ამტკიცებს, რომ მის საწარმოში არანაირი საქმიანობა არ ყოფილა და ჟურნალისტებმა უსაფუძვლოდ ატეხეს აჟიოტაჟი. გოგა ცერცვაძე კი საპირისპიროს ამბობს: „ერთი წლის წინ, ორი წლის მანძილზე, სრული დატვირთვით ვმუშაობდი „ჯეო გადამამუშავებელში" და ჩემი ყოველდღიური ანაზღაურება ოცდაათი, ხოლო თვეში 900 ლარი იყო“.

– თუ საწარმო არ მუშაობდა და იქ არაფერი ხდებოდა, მინიმუმ 15 კაცი რისთვის იღებდა თვეში 900-ლარიან ანაზღაურებას?

– „ბიზნესია, ძმაო, აკუმულატორებს 50 თეთრად ვიბარებდით და 65 თეთრად ვყიდდით“, – განაცხადა გოგა ცერცვაძემ.

საინტერესოა, გოგა ორი, სხვები სამი წლის მანძილზე რომ მუშაობდნენ ამ საწარმოში და ოზურგეთის პირობებში სოლიდურ ანაზღაურებას იღებდნენ, მხოლოდ ამორტიზებული აკუმულატორების მიღება-ჩაბარების ხარჯზე ხდებოდა ეს ყველაფერი?

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტთა დასკვნა საპირისპიროს ამტკიცებს. „ჯეო გადამამუშავებელში“ კუსტარულად წარმოებული საქმიანობა მავნე ზეგავლენას ახდენს გარემოზე და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას“! – მოსახლეობასაც სწორედ ეს აწუხებს და მთელი ჟურნალისტთა კორპუსიც ხალხის გვერდით ამიტომ დგას.

გასული წლის მიწურულს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის, თამაზ ტრაპაიძის მიწვევით გამართულ შეხვედრაზე „ჯეო გადამამუშავებელის“ მენეჯერმა სალომე ქათამაძემ მხარის, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის ხელმძღვანელებისაგან მიიღო წინადადება თავისი საწარმოს ამოქმედების პროექტის განხილვისა და ხელისუფლების ხელშეწყობით მისი სხვა, დაუსახლებელ ტერიტორიაზე გადატანის შესახებ. ამიტომ, არ იყო საჭირო წინსწრებით მოეხდინათ ირიბი ზეწოლა ჟურნალისტებზე იმის გამო, რომ მოსახლეობის ინტერესებს იცავენ.

ვადაგასული აკუმულატორების გადამუშავებისაგან გადამდნარი ტყვია, ნუ იქნება გამიზნული ჟურნალისტების დაშანტაჟებლად!

კიდევ ერთი რამ, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს. – როგორც ცნობილი გახდა, „ჯეო გადამამუშავებელის“ მსგავსი ტიპის საწარმო წეროვანში სრული დატვირთვით მუშაობს. იქ კი, 2008 წლის ომის დროს ტყვიას და სიკვდილს ძლივს გადარჩენილი იძულებით გადაადგილებულთა დიდი დასახლებაა და ახლა დევნილი მოსახლეობა სხვა საფრთხის წინაშე დგას.

იმედს ვიტოვებთ, ყველაფერი ხალხის საკეთილდღეოდ შეიცვლება!

**გოჩა ჭანიშვილი.**

# ხელისუფლება მწვავე კითხვებს არ გაურბის

**ალიონი.** 3 თებერვალს სოფელ თხინვალში ადგილობრივმა ამომრჩეველმა მაჟორიტარი დეპუტატის **ბიძინა გობრონიძის** ანგარიში მოისმინა. შეხვედრას თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძე უძღვებოდა.

მაჟორიტარის ანგარიში არ იყო პათეტიკური და იგი კონკრეტულ აქტივობებს შეეხებოდა. მან ერთ-ერთ კარგ საქმედ სოფელში ჭიდაობის სექციის გახსნა, აქაური სპორტსმენების წარმატებული გამოსვლა სხვადასხვა ტურნირებზე დაასახელა და მომავალში კიდევ ერთი სპორტული სექციის გახსნაც დაანონსა.

– „ენერგო პრო ჯორჯიამ“ სოფელში გამრიცხველიანების სამუშაოები არასათანადოდ შესრულა და არის ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ელექრობოძები. სათაო ოფისი მანამდე არ აძლევთ მათ ასეთი ბოძის შეცვლის უფლებას, ვიდრე მთლიანად არ წაიქცევა– აღნიშნა მან.

ასეთი ანგარიშების შემდეგი ეტაპი ამომრჩევლების კითხვებზე პასუხია. დადებითი პასუხი მიიღო კითხვამ –სოფელში ბიბლიოთეკის აღდგენის შესახებ. ასევე დადებითი პასუხი მიიღეს საბავშვო ბაღის გაფართოებასთან დაკავშირებით, თუმცა ასეთი საკითხები საბოლოოდ სოფლის კრებაზე უნდა გადაწყდეს.

დაისვა საკითხები საუბნეო გზების მოწესრიგები, სასმელი წყლის სისტემის გაუმართაობის, ბუნებრივი აირის შესახებ.

კრებაზე **ხვიჩა კვაჭანტირაძემ** ჭახვათას საყანე ფართობების პრობლემებზე ისაუბრა. იმის გამო, რომ ნატანებლებია აღარ თესავენ აღნიშნულ ფართობს, პირუტყვისგან ვერ იცავენ და გასაღობია.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ უპასუხა, რომ სახელმწიფო ვერ შეღობავს კერძო საყანე ფართობებს, მაგრამ მისასვლელი გზის მოწესრიგებაზე იზრუნებენ.

ამ თემას **ვალოდი კვაჭანტირაძის** მწვავე რეპლიკა მოჰყვა: –შარშან, სოფლის პროგრამით 6,5 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული ჭახვათაში საყანე ფართობებამდე მისავლელი გზების სარემონტოდ. მხოლოდ 7 რეისი ღორღი დაიყარა. სად წავიდა ეს თანხა?

ხოლო სოფლის არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **კობა ცერცვაძემ** არა არსებული საბავშვო ბაღის გაფართოება, სოფელში თანამედროვე სტანდარტების ახალი ბაღის მშენებლობაზე დასვა საკითხი.

**მერაბ ჭანუყვაძე:–** სოფელ თხინვალში ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით გაკეთდა ახალი გზა. არის მეწყერული ადგილები, რომელსაც წელს შევაკეთებთ. არის დამწყრილი ოჯახები, რომელთაგან რამდენიმეს სოფელ მერიაში ახლადგარემონტებულ 90-ბინიან კორპუსში გადავიყვანთ. ახალ საბავშვო ბაღს ამ ეტაპზე იმიტომ ვერ ავაშენებთ,რომ ჩვენ ვცდილობთ, მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი თანაბარ პირობებში ჩავაყენოთ. სოფელს ამჟამად საბავშვო ბაღი აქვს, რომელსაც გავაფართოებთ. 2017 წლის ბოლომდე ყველა სოფელში მოხდება გაზიფიცირება. რაც შეეხება ჭახვათას ფართობს, სოფლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებზე ღორღის მიწოდება ცენტრალიზებულად ხდება და კონტროლდება. როგორც დავაზუსტეთ, თანხის ნაწილი საბავშო ბაღის საჭიროებისთვის დაიხარჯა. ჩვენ, როგორც კონკრეტულ შემთხვევაში, ისე მომავალშიც მზად ვართ პასუხი გავცეთ მოსახლეობის და ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების ყველა შეკითხვას. ჩვენ წარსულის განუკითხაობის პერიოდს, უკან არ დავაბრუნებთ.

# გუბერნატორი „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ წარმომადგენელს შეხვდა

გურიის გუბერნატორი გია სალუქაძე მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან ერთად, „კახური ტრადიციული მეღვინეობა/ აგრო ჩოხატაური"-ს კომპანიის წარმომადგენელს სოლომონ ბარათაშვილს შეხვდა. შეხვედრაზე ადგილობრივ ფერმერებთან შეხვედრის აუცილებლობასა და მათგან მომავალი სეზონისთვის მოწვეული ხილის სახით ნედლეულის შეძენის საკითხებზე ისაუბრეს. მხარეები ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

„დღეს ჩვენ გვქონდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ხილის გადამამუშავებელ საწარმოს წარმომადგენელთან. განვიხილეთ მომავალი წლისათვის ფერმერებისგან ხილის სახით ნედლეულის შეძენის საკითხი. ყველაზე მთავარი არის ის, რომ გურიაში არ დარჩება არცერთი კილოგრამი ხილი, რომელიც საწარმოში არ იქნება გადამუშავებული. ასევე, სეზონზე მოხდება გლეხებისთვის შეთავაზება პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე საწარმოში ჩაბარონ ნებისმიერი სახის ხილი, რომელიც ბაზარზე გასაყიდად უვარგისია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ გვექნება შეხვედრები ფერმერებთან. მათ წავიყვანთ საწამოში და ვაჩვენებთ თუ რა სახის პროდუქციას უშვებს ქარხანა. ეს იქნება ნათელი მაგალითი იმისა, როგორი ეფექტური ურთიერთობა აქვს სახელმწიფოს ბიზნესსა და ფერმერებთან,“- აღნიშნა გურიის გუბერნატორმა, გია სალუქვაძემ.

ხილის გადამამუშავებელი საწარმო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2015 წლის სექტემბრის თვეში გაიხსნა. კომპანია მიმდინარე წლიდან ხილთან ერთად, ჯემებსა და მურაბებს აწარმოებს. მომავალი წლისთვის კომპოტისა და ბოსტნეულის წარმოებასაც დაიწყებს. 2016 წელს საწარმოში პროდუქციის გამრავალფეროვნება და მოცულობის გაზრდა იგეგმება.

პროექტი სახელმწიფო თანადაფინანსებით „კახურმა ტრადიციულმა მეღვინეობამ" განახორციელა. პროდუქციის რეალიზება ადგილობრივ ბაზარზე მსხვილ სუპერმარკეტებში ხდება, თუმცა, უახლოეს პერიოდში პროდუქციის ექსპორტზე გატანაც იგეგმება. კერძოდ, საუბარია რუსეთის, უკრაინის, ისრაელისა და ყაზახეთის ბაზრებზე.

# ფერმერი სუფრაზე

№ 5 - 6.01. 2016

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

## რატომ უნდა მოვითხოვოთ ეტიკეტირებული პროდუქტი

ეკა ბარამიძე, გაზეთი „ბათუმელები„

სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესაბამ ტექნიკური ¬რეგლამენტის მიხედვით, ეტიკეტის გარეშე შეფუთული პროდუქციის გაყიდვა აკრძალულია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთხოვნის დაცვას კანონი ბიზნესოპერატორებს წლებია ავალდებულებს, ბევრ სავაჭრო ადგილზე რძის ნაწარმი კვლავ ეტიკეტის გარეშე იყიდება. მომხმარებელი იძულებულია, პროდუქტის მერჩევისას მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას ენდოს.

რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, ეტიკეტზე მითითებული დასახელება: რძე, არაჟანი, ხაჭო, დო, კარაქი, ყველი და სხვა, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ რძის ნაწარმზე. ხოლო თუ რძის ნაწარმს დამატებული ექნება მცენარეული ცხიმები, მას უნდა გაუკეთდეს შესაბამისი მინაწერი და უნდა აღინიშნოს - კარაქისებრი, არაჟნისებრი, ან კარაქის მსგავსი, არაჟნის მსგავსი პროდუქცია.

ეტიკეტი ისე უნდა იყოს მიმაგრებული პროდუქტზე, რომ არ მოშორდეს, არ წაიშალოს, იყოს ადვილად კითხვადი და შეიცავდეს სრულ ინფორმაციას, თუ რისგან შედგება ესა თუ ის პროდუქტი.

რძისა და რძის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, ჰიპერმარკეტებში, სუპერმარკეტებში, მაღაზიებსა და სხვა სარეალიზაციო ობიექტებში დახლზე სარეალიზაციოდ განთავსებული პროდუქციის შემოწმება ხდება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ.

გარდა ამისა, ტექნიკური რეგლამენტი მოითხოვს HACCP, ანუ საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დანერგვას იმ მეწარმეებისათვის, რომლებიც ახდენენ ნედლი რძის თერმულ (თბურ) დამუშავებას. ეს სიტემა უწყვეტი პროცესია. იგი მოიცავს ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას მიკვლევადობის პროცესის დასანერგად.

**რა ვალდებულებება უნდა შეასრულონ მეწარმეებმა ამ ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ?**

მეწარმე არკადი კახაძე გვიამბობს საკუთარი რძის გადამამუშავებელი საწარმოს შესახებ, რომელიც ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს თანადაფინასებით ორი თვის წინ მოაწყო. მშენებლობის პროცესი და საწარმო დანადგარები HACCP სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნებით ააშენა და გამართა. საწარმო ამ დროისთვის ყველს, კარაქს და ადგილობრივ ტრადიციულ პროდუქტს - კაიმაღს აწარმოებს. რძის პროდუქტების მწარმოებელი დამწყები ბიზნესოპერატორი ამბობს, რომ ეს რეგულაცია, პირველ რიგში, მომხმარებლის ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს, რაც თავისთავად გულისხმობს მომხმარებლის ჯანმრთელობას და სიცოცხლის დაცვას.

მეწარმე აღნიშნავს, რომ საკუთარ წარმოებულ პროდუქციას თავადაც მიირთმევს და მისთვის, როგორც მომხმარებლისთვის, მნიშვნელოვანია იცოდეს თუ რამდენად უსაფრთხოა ეს პროდუქტი ჯანმრთელობისათვის. "თუკი მეწარმე პროდუქტს რეგულაციით გაწერილი მოთხოვნის შესაბამისად აწარმოებს, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ მისი ნაწარმი უვნებელია და ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის. მწარმოებლისთვის მომხმარებლის ნდობა მნიშვნელოვანია და მოტყუება დანაშაულია, - ამბობს ის.

„მომხმარებელი არ უნდა შეიყვანო შეცდომაში და ეტიკეტზე გაკეთებული წარწერა უნდა შეესაბამებოდეს პროდუქტის შემადგენლობას. ხარისხი მარტივად დგინდება ლაბორატორიული ანალიზით. ამიტომ ყველას ინტერესშია პროდუქცია იყოს ჯანსაღი და უვნებელი."

> ბიზნეოპერატორი ვალდებულია აწარმოოს უვნებელი სურსათი და დააკმაყოფილოს ამ მიმართულებით არსებული კანონმდებლობის მოთხოვნები. ნებისმიერი პირი, ვისაც ბაზარზე გამოაქვს პროდუქტი, ვალდებულია აწარმოოს უვნებელი სურსათი.

მეწარმე აღიჩნევს, რომ რეგულაცია ფერმერებს, რომლებიც რეგისტრირებული მწარმოებლები არ არიან და სახლში დამზადებულ რძის პროდუქტებს: ყველს, კარაქსა თუ მაწონს ყიდიან, ასევე უნდა ავალდებულებდეს უვნებელი პროდუქტის წარმოებას. „საოჯახო პირობებში წარმოებულ პროდუქტს ასე მარტივად გასაყიდად ბაზარზე ველარ გაიტანენ, ამიტომ ფერემერებს გაერთიანებისკენ და წარმოების განვითარებისკენ უბიძგებს" - აცხადებს მეწარმე.

### ეხებათ თუ არა ეტიკეტირების წესი საოჯახო მწარმოებლებს?

მეწარმეებისგან განსხვავებით, ფერმერები, რომლებიც საკუთარ მეურნეობებში მცირერიცხოვან პროდუქციას აწარმოებენ, ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან. ბევრმა საერთოდ არაფერი იცის რეგულაციის შესახებ და პროდუქტების გაყიდვას ეტიკეტირების გარეშე, სტიქიურად ახდენენ.

ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჯემალ ბერიძე, რომელიც რძის პროდუქტების საოჯახო წარმოებას ეწევა, ამბობს, რომ კანონის შესახებ არაფერი სმენია.

„წლებია სახლში ვამზადებთ ყველს, კარაქს, ნადუღს, მაგრამ ბაზარზე გასაყიდად. ჩემს პროდუქტს ერთგულ მომხმარებლებზე ვყიდი და მათ მიაქვთ. ბაზარზე რომ გავიტანო, გადამყიდველებს უნდა მივყიდო, ეს კი ნაკლებად მომგებიანია. აქამდე არ ვიცოდი, რომ ჩვენნაირ საოჯახო მწარმოებელს ეს წესი ეხება და ჩემს პროდუქტებს ეტიკეტი უნდა გააჩნდეს," - ამბობს ფერმერი.

### რა არის გამოსავალი?

კახა სოხაძე - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი განმარტავს, რომ 2020 წლამდე საოჯახო ტიპის რძისა და რძის პროდუქტების წარმოებაზე სურსათის უვნებლობაზე კონტროლი არ განხორციელდება, თუმცა აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ტექნიკური რეგლამენტი უკვე ავალდებულებს რეალიზატორისვალდებულია გასაყიდ ობიექტში არსებულ შეფუთულ პროდუქტს ეტიკეტი გააჩნდეს.

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე.)

ინტერვიუ

## მარნეულსა და რუსთავში ბიოუსაფრთხოების პუნქტები გაიხსნა

ახალი ამგები
მარნეული

ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის მუნიციპალიტეტსა და რუსთავში ცხოველთა გადასარეკი ტრასის ორი ბიო უსაფრთხოების-პუნქტის მშენებლობა დასრულდა, რაც მეცხოველეობის დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

მშენებლობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის (SCO) მიერ დაფინანსებული და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფსის" მიერ განხორციელებული „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის" (ALCP) ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობდა.

„მეცხოველეობის დარგის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. დაიწყო პირუტყვის გადასარეკად საჭირო ინფრასტრუქტურის აღდგენა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღარ არსებობდა. ბიოუსაფრთხოების პუნქტები ხელს შეუწყობს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას და შეამცირებს დაავადების გავრცელების რისკს.,- განაცხადა მინისტრმა ოთარ დანელიამ.

„მეცხვარეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი სექტორია, რომელსაც განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. შვეიცარიის მიერ დაფინანსებული ეს პროექტი წარმოადგენს სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხოველთა მიკვლევადობისა და იდენტიფიცირების შესახებ ერთიანი მიდგომის მნიშვნელოვან ელემენტს," - აღნიშნა სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის რეგიონულმა დირექტორმა, ოლივიე ბურკმა.

ბიო უსაფრთხოების პუნქტი გულისხმობს შემოღობილ, ბეტონის საფარით მოწყობილ ტერიტორიას, სადაც განთავსებული იქნება პირუტყვის სადეზინფექციო გასაბანი აუზები, სადეზინფექციო სამხაპეები, წყლის რეზერვუარები, საწყობი, ვეტპუნქტი. თითოეულ პუნქტზე დღეში საშუალოდ 8 000 ცხვარი გაიბანება.

ქვეყნის მასშტაბით სულ ბიოუსაფრთხოების 6 პუნქტი მოეწყობა. მარნეულისა და რუსთავის გარდა, უახლოეს მომავალში დასრულდება პუნქტის მშენებლობა დედოფლისწყაროში, მომავალი წლის პირველ კვარტალში - სიღნაღში. შემდეგ თელავსა და ბოლნისში. ოთხივე პუნქტს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ააშენებს.

ბიო უსაფრთხოების პუნქტების მოწყობაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამას" შორის გასული წლის მარტში გაფორმდა.

სასარგებლო რჩევები

## პურის შენახვის ვადა და პირობები

• თუ შეუფუთავი პური შეიძინეთ, გირჩევთ, სანამ მოიხმართ, ცეცხლის ალზე გადაატაროთ - სამწუხაროდ არ არის გამორიცხული, რომ პურისთვის მაღაზიაში ან გადაზიდვისას ჭუჭყიანი ხელი მოეკიდათ, ცეცხლით მოწვა კი პურის კანზე შერჩენილ ბაქტერიებს უცბად გაანადგურებს.

• არ შეინახოთ პური პოლიეთილენის პარკში. პურიდან აორთქლებული წყლის ხარჯზე პარკში წარმოიქმნება მაღალი ტენიანობა, რაც დაობებას უწყობს ხელს;

• პური შეინახეთ ხის, მინანქრის, ან სპეციალურ "საპურე" კონტეინერში. კვირაში ან 10 დღეში ერთხელ მაინც პურის შესანახი გარეცხეთ თბილი ძმრიანი წყლით და გააშრეთ;

• იმისათვის, რომ პურის შესანახ ჭურჭელში ობი არ წარმოიქმნას:

o ჩადეთ რამდენიმე ფენა დოლბანდში გახვეული მდოგვის ფხვნილი;

o ჩადეთ მარილი, რომელსაც დატენიანებისთანავე გამოცვლით;

o ჩადეთ რამდენიმე აბი ნახშირი, რომელიც ასევე შთანთქავს ტენსა და უცხო სუნს.

• არ შეინახოთ ერთად ხორბლის და ჭვავის პური. ჭვავის პურის ტენიანობა უფრო მაღალია და შესაბამისად იგი უფრო სწრაფად ობდება;

• გაითვალისწინეთ, მაცივარში პური უფრო სწრაფად ძველდება, ვიდრე გარეთ. თუ პურს მაცივარში ინახავთ, ჯობს შეინახოთ საყინულეში. გალღობის შემდეგ პური აღიდგენს ახლის თვისებებს.

წყარო: momxmarebeli.ge

## სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

# რა საფრხეს შეიცავს პესტიციდების უკონტროლო გამოყენება

**მაკა ხაზიური, გაზეთი „კახეთის ხმა„**

რა გავლენას ახდენს უხარისხო პესტიციდების გამოყენება პროდუქტის ხარისხზე და რა შედეგები მოყვება მის უსისტემო გამოყენებას? არის თუ არა კავშირი პესტიციდებსა და სურსათის უვნებლობას შორის? სპეციალისტთა შეფასებით, სასარგებლო ხილბოსტნეული მავნე პროდუქტად მაშინ გარდაიქმნება, როცა ფერმერი მათი მოყვანის დროს სასუქებსა და პესტიციდებს არასწორად იყენებს.

საქართველოში ყოველწლიურად 1000-ზე მეტი დასახელების პესტიციდი და აგროქიმიკატი შემოდის. იმის გამო, რომ სახელმწიფოს აღნიშნული პრეპარატების ხარისხის დასადგენად სპეციალური ლაბორატორია არ აქვს, ქიმიკატების ხარისხი მთავრობასასურსათის ეროვნულ სააგენტოსა და კერძო ლაბორატორიას, ,,მულტიტესტის" ხელმძღვანელობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ეტაპობრივად მოწმდება.

მომხმარებელი ნუნუ კობახიძე გვიამბობს, რომ მისი 5 წლის შვილიშვილი ადგილობრივი მარწყვით მოიწამლა. „იმდენ შხამებს ასხამენ მცენარეს, რომ არავინ ვართ დაცული. არც პროდუქტები მოწმდება, ამის გამოა, რომ ბავშვმა მარწყვი ჭამა და ისეთი მძიმე მოწამლვა დაფიქსირდა, ძლივს გამოჯანმრთელდა. ბოსტნეულით რამდენჯერმე მეც მოვიწამლე, იმიტომ არის ალერგია და ათასი საშინელება".,- ამბობს კობახიძე.

პესტიციდები მცენარეთა დაავადებებისადმი გამძლეობისა და ხარიხსხიანი პროდუქციის წარმოებას უნდა ემსახურებოდეს, თუმცა მისი არასწორი და ზედმეტი გამოყენება პროდუქტზე აისახება და ადამიანის ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის. პესტიციდების არასწორი გამოყენებით საფრხე ადამიანის ჯანმრთელობასთან ერთად ბიო სისტემასაც ემუქრება.

კახელი ფერმერების და მევენახეების თქმით, პესტიციდების უხარისხობის გამო ვაზსა თუ ხეხილზე წამლის დასხურების შემდეგ დაავადება არ ქრება, რაც მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე აისახება. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენში მცხოვრები ფერმერი ნიკოლოზ გილიგაშვილი ამბობს, რომ გასულ წელს ,,ხუჭუჭამ" ატმის ბაღის 90% დაუზიანა. მისივე თქმით, მოსავლის გადასარჩენად მან ატმის ბაღი სამჯერ შეწამლა, თუმცა უხარისხო შხამ-ქიმიკატების გამო დაავადება მაინც გავრცელდა. იგივე ეხება მარწყვის ბაღსაც.

,,ყველანაირი საშუალება ვცადე ატმის გადასარჩენად მაგრამ არაფერი ეშველა. სამჯერ მაქვს მოწამლული ქიმიკატებით, მაგრამ ტყუილად. მაინც დაზიანდა ფოთოლი და ნაყოფიც გასცვივდა," - აცხადებს ნიკოლოზ გილიგაშვილი.

ამბობენ, რომ ფერმერები უხვი მოსავლისთვის ქიმიკატებს უსისტემოდ და არასწორად მოიხმარენ, რის გამოც, პროდუქციაში არაორგანული ნივთიერება ხვდება, რაც ჯანმრთელობას საფრხეს უქმნის.

სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მთავარი აგრონომი თამაზ ხასაია მწარმოებლებს ურჩევს: პესტიციდების გამოყენების შედეგად მაქსიმალური ეფექტის მიღებისა და მათი უსაფრთხო მოხმარების უზრუნველყოფის მიზნით ფერმერისათვის აუცილებელია გააჩნდეს ინფორმაცია პესტიციდით მოწამვლის თავიდან აცილების და მოწამვლის შემთხვევაში მისაღები აუცილებელი ზომების შესახებ.

,,პესტიციდის შერჩევისას საჭიროა განისაზღვროს, გამართლებულია თუ არა მის შესაძენად საჭირო ხარჯის გაწევა. ანუ რა უფრო მომგებიანია – ქიმიური წამლობის ღირებულების გაღება და ამით მოსავლის გაუმჯობესება თუ თანხის დაზოგვა წამლობაზე და შედარებით ნაკლები მოსავლის მიღება, - ამბობს აგრონომი.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ნიკოლოზ სულხანიშვილი ამბობს, რომ მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ ფერმერების ინფორმირება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად და ფერმაში კონკრეტული პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში უნდა მოხდეს შეფასება და ამ დიაგნოზის შესაბამისად დაინიშნოს მცენარის მკურნალობა.

,,საჭიროა ინფორმაცია ფერმერებამდე აღწევდეს, მართალია შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, თუმცა მაგალითად, თელავში ასეთ სამსახურში არცერთი აგრონომი არ ყავთ. კარგი იქნება თუ აღნიშნულ სამსახურს დაემატება პრაქტიკოსი აგრონომი სპეციალისტები და მეცნიერები რომლებიც ადგილზე შეისწავლიან ყველა წამოჭრილ პრობლემას და მიაწვდიან ინფორმაციას იმ საფრხეების შესახებ, რასაც პესტიციდების უსისტემო გამოყენება გამოიწვევს, "- ამბობს ნიკოლოზ სულხანიშვილი.

საქართველომ უახლოესი 10 წლის განმავლობაში პესტიციდების მდგრადი გამოყენების საკითხი ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პესტიციდებისა და აგროქიმიური საშუალებების სამმართველოს უფროსი მარინა ღვინეფაძე აცხადებს, რომ ,, საშიში პესტიციდები ხმარებიდან უნდა ამოვიღოთ და მათ მაგივრად ნაკლების რისკის მქონე პესტიციდები დავნერგოთ. ევროკავშირის დირექტივა 128-2009 არეგულირებს პესტიციდების რეგისტრაციის, იმპორტის, განთავსების, შენახვის, შეფუთვის, გაყიდვის და გამოყენების წესებს. ეს რეგულაცია მოითხოვს, რომ სოფლის მეურნეობაში დაინერგოს მცენარის ინტეგრირებული დაცვის - აგროტექნიკური, მექანიკური, ფიზიკური, სელექციური და ბიოლოგიური მეთოდები. ამ მეთოდების ხარჯზე უნდა შემცირდეს ქიმიური ნივთიერებების გამოყენება და ამით შევამციროთ ის რისკი, რომელიც ამ ნივთიერებების მეშვეობით ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს ადგება. "

ევროკომისიის რეგულაციებს რომ დავუახლოვდეთ, ამისთვის 10-წლიანი პერიოდი გვაქვს. რეგულაციები რომ შესრულდეს, საჭიროა ფერმერების ინფორმირება და სპეციალისტების მომზადება. ბოლო დროს აგრონომები და მცენარეთა დამცველები აღარ მზადდება. ამ დროს ჩვენს უწყებაში ძალიან ცოტა სპეციალისტია. ვეძებთ ახალგაზრდებს. სამწუხაროდ, მათ უმეტესობას შესაბამისი განათლება არა აქვს".

# რატომ უნდა მოვითხოვოთ ეტიკეტირებული პროდუქტი

*(დასაწყისი პირველ გვერდზე)*

იმ შემთხვევაში, თუ ფერმერი ვერ აკმაყოფილებს რეგლამენტით გაწერილ მოთხოვნებს, შეუძლია ნედლი რძე რძის საწარმოში ჩააბაროს და ის დამატებითი დანახარჯები შეამციროს, რაც სჭირდება ყველის საწარმოებლად მაგ: ბუნებრივი აირი, შეშა, ყველის დედო, მარილი და აშ. რაც არის საჭირო.

„რძისა და რძის ნაწარმის შესახებ" არსებული ტექნიკური რეგლამენტი არა მარტო არეგულირებს მოთხოვნებს რძისა და რძის ნაწარმის მიმართ, არამედ აწესრიგებს ურთიერთობებს ბიზნეს ოპერატორს, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსა და მომხმარებელს შორის, რაც ერთგვარ ჯაჭვს ქმნის.

სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის სამსახურის უფროსი ილია სირაბიძე აცხადებს, რომ რძისა და ხორცპროდუქტების ხარისხსა და ვარგისიანობაზე კონტროლს სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი პროდუქტი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად არ იქნება წარმოებული და ეტიკეტირებული, მწარმოებელი დაჯარიმდება.

თუ რძეს ან რძის ნაწარმს არ აქვს ეტიკეტი, ან ეტიკეტზე არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება პროდუქტის შემადგენლობას, მწარმოებელი ბიზნეოპერატორი პირველად ჯარიმდება 400 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო მეორე ეტაპზე 1200 ლარით. იგივე მოთხოვნა ვრცელდება რესტორნების, სასტუმროების, კაფეებისა და სხვა სწრაფი კვების ობიექტებზეც.

სამსახურის უფროსი აქვე განმარტავს, რომ ინფორმაციის მიწოდებისთვის სააგენტო სისტემურად მუშაობს: „სურსათის ეროვნული სააგენტო სისტემატურად მართავს შეხვედრებს დაინტერესებულ პირებთან, მზადდება ასევე საინფორმაციო ვიდეორგოლები, ბუკლეტები, ბროშურები...ყოველ ახალ საკანონმდებლო ინიციატივას წინ უძღვის შეხვედრები ბიზნესოპერატორებთან. ეს არის უწყვეტი პროცესი, რაც მომავალშიც გაგრძელდება," - აცხადებს სირაბიძე, თუმცა მწარმოებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ფორმით ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ ზღვაში წვეთია. ინფორმაცია მხოლოდ მცირე ჯგუფებისთვის არის ხელმისაწვდომი, რაც საკითხის გადაჭრისთვის არასაკმარისია.

მანამდე, ვიდრე სახელმწიფო უწყებების მხრიდან სურსათის კონტროლი სრულად იქნება უზრუნველყოფილი, მომხმარებელმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად უნდა იზრუნოს, რომ სამომხმარებლო კალათში მხოლოდ უვნებელი პროდუქტი მოხვდეს. კარგად დააკვირდეს პროდუქტის ხარისხს.

### მომხმარებელთა საყურადღებოდ:

• სპეციალისტები გვირჩევენ, რომ პროდუქციის შეძენისას მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს პროდუქტის ეტიკეტს, ვარგისიანობის ვადას, შენახვის პირობებს, ტემპერატურას და ასევე გარემოს, როგორ ჰიგიენურ პირობებში იყიდება პროდუქტი.

• არ შეიძინოთ რძისა და რძის ნაწარმი ქუჩებსა და დაბინძურებულ გარემოში. საკვები პროდუქტები უნდა იხახებოდეს ქიმიური საშუალებებისაგან განცალკევებულად.

• მომხმარებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყიდულობს უვნებელ სურსათს. მეზობლისაგან შეუმოწმებელი რძის ნაწარმის ყიდვისაგან მომხმარებელს თავის შეკავებას ვურჩევთ, თუკი ის ვერ დაარწმუნებს მყიდველს მისი კუთვნილი პროდუქტის უვნებლობაში. სოფლის მეურნეობის საკითხებზე, კანონმდებლობაზე და სხვა სიახლეების გასაცნობად ფერმერმა, მეწარმემ უნდა მიმართოს სურსათის ეროვნული სააგენტოს ცენტრებს, რომელებიც მდებარეობენ მუნიციპალიტეტებში, ასევე სოფლის მეურნეობის ექსტენციის ცენტრებს.

ევროპის ფონდი
GRMA
SWEDEN

გვერდი მომზადებულია „რეგიონული მედიის ასოციაციის" მიერ „ევროპის ფონდის" დაფინანსებით, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტების ფარგლებში. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. სტატიები არ გამოხატავს ევროპის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

# 12 ნაბიჯი საფრინველის გასაწმენდად

**სასარგებლო რჩევები**

1. დაიწყეთ ბრძოლა ისეთი მწერების წინააღმდეგ, როგორიცაა შავი ხოჭოები, მატლები, ინსექტიციდების მოფრქვევით კედლებზე, კედლებსა და იატაკს შორის ნაწიბურებში და ნაპრალებში ბეტონის იატაკებზე. ქვეშსაფენი (ნაკელი) უნდა მოაშოროთ იატაკსა და ნაპრალებს. ხოჭოები და მატლები დაიმალებიან არა მხოლოდ ჭერში, არამედ ნაპრალებში ბეტონის იატაკის ქვეშ ან იატაკისხვრელებში.

2. საფრინველის ინტერიერთან დაკავშირებული მომსახურე პერსონალის ოთახები, ჰიგიენური ბარიერი და სხვა ოთახები უნდა გაიწმინდოს და დასუფთავდეს სათანადოდ.

3. საკვებურები უნდა დაიცალოს სრულად. საკვების ნარჩენები უნდა იქნეს გატანილი, ხოლო საკვების მიმწოდებელი აღჭურვილობა უნდა გაიწმინდოს.

4. აღჭურვილობა, რომლის გაწმენდა შეუძლებელია ადგილზე, მაგრამ დაშლაც შესაძლებელია, გატანილ უნდა იქნეს საფრინველედან და დროებით მოთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც მისი გაწმენდა იქნება შესაძლებელი. დარწმუნდით, რომ ასეთი ადგილი უზრუნველყოფილია წყალგამშვებით, რომელიც არ უკავშირდება საფრინველეს.

5. გაიტანეთ ნაგავი (ქვეშსაფენი, ნაკელი) და მოათავსეთ ის ფერმის ტერიტორიის გარეთ. თუ არ ხერხდება ნაგვის გატანა ფერმის ტერიტორიიდან, დაუყოვნებლივ დააფარეთ და გადაამუშავეთ მაქსიმალურად სწრაფად.

6. აუცილებელია სახურავის ვენტილატორების მოხსნა სათავსოების და სავენტილაციო შახტების გაწმენდის მიზნით. კედლის ვენტილატორები უნდა გაიწმინდოს დემონტაჟის გარეშე, მაგრამ აუცილებელია გამწმენდი წყლისა და ჭუჭყის ეფექტურად მოშორება.

7. ჰაერის შემწოვი სარქველები და შახტები ხშირად ძნელი მისადგომია, მაგრამ აუცილებელია მათი გაწმენდა შიგნიდან და გარედან. გარედან გაწმენდა მნიშვნელოვანია, რადგან მტვერმა დაბინძურებასთან ერთად შესაძლოა ადვილად შეაღწიოს შიგნით.

8. როდესაც შეუძლებელია აღჭურვილობის გაწმენდა წყლით, აუცილებელია მისი მშრალი მეთოდით გასუფთავება და პლასტმასის დაფარება დასაცავად.

9. დაასუფთავეთ საფრინველე, როდესაც ის ჯერ კიდევ მშრალია და მოაშორეთ ნარჩენი დიალიები და სხვა ორგანული ნივთიერებები.

10. გაწმინდეთ სასმელი წყლის სისტემა გამდინარე წყლის ნაკადით და ჩაასხით შესაბამისი გამწმენდი ნივთიერება, შემდეგ დატოვეთ სათანადო საკონტაქტო დროის განმავლობაში ეფექტური შედეგის მიღებისთვის.

11. ბეტონის იატაკის შემთხვევაში: დაასველეთ და გააჩერეთ სულ მცირე 3 საათის განმავლობაში წყალი სარეცხი/საწმენდი საშუალებით და გაწმინდეთ მაღალი წნევის მილით.

12. ჭერი, სავენტილაციო შახტები და კედლები უნდა დამუშავდეს სარეცხი/საწმენდი საშუალებით (ქაფი, რომელიც უფრო დიდ ხანს მიეკრობა ზედაპირს და შესაბამისად უფრო ეფექტური საშუალებაა). დაახლოებით 30 წუთის შემდეგ ჩამორეცხეთ წყლით ჭერი და შახტები, მუშაობის დროს ზევიდან ქვევით. იატაკები, საკვები და წყლის მიწოდების სისტემები უნდა დამუშავდეს ქაფით.

წყარო: ჰოლანდიის ცხოველთა ჯანდაცვის ორგანიზაცია. **http://agrotrading.ge**

***თვალსაზრისი***

# ჩაის ბოდიში უნდა მოვუხადოთ

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, ანასეულში, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჟურნალ „სუბტროპიკულ კულტურებში“ ვმუშაობდი. ძალიანაც რომ არ მდომებოდა, რედაქციაში შემოსული ყველა სამეცნიერო სტატია უნდა წამეკითხა, თანაც რამდენჯერმე და თორმეტწლიან წერა-კითხვაში, რედაქტირებასა თუ კორექტურის კეთებაში, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, მეცნიერებათა კანდიდატის არა, მაგრამ ერთი უბრალო აგრონომის ცოდნა ნამდვილად დამიგროვდა.

1980 წელს ინსტიტუტს დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. 10 ნაბეჭდი თაბახი მოცულობის ჟურნალის ერთი ნომერი მთლიანად ამ თარიღს და ინსტიტუტის მიერ ნახევარი საუკუნის მანძილზე გაწეულ, მართლაც გრანდიოზულ საქმიანობას მიეძღვნა. ამ ინსტიტუტის სახელი მაშინ არა მხოლოდ ყოფილ კავშირში, არამედ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მწარმოებელ ყველა ქვეყანაში ქუხდა.

ორენოვან ჟურნალს, რომლის რუსული ვარიანტი 10-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნებოდა, ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, ბატონი ვახტანგ ჯაყელი რედაქტორობდა. საიუბილეო ნომერზე მუშაობისას მან ერთხელ მითხრა, არ ვიცი, რამდენად დამეთანხმებიან, მაგრამ კარგი იქნება თუ ჩაის მცენარეს ძეგლს დავუდგამთო. მაშინ ვიფიქრე (აბა, თქმას, როგორ შევბედავდი ან ვაკადრებდი), ამ კაცის საქმე მთლად კარგად ვერ უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ, თურმე, მართალს ამბობდა ეს ბობოქარი, დაუშრეტელი ენერგიის ადამიანი, შეუვალი, პრინციპული პიროვნება, იშვიათი ინტელექტუალი და შეუდარებელი ორგანიზატორი.

ჩაი ერთადერთი კულტურაა, რომელმაც დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რეგიონებს ჯერ სული მოათქმევინა, ხოლო შემდეგ ისე მოამძლავრა, რომ ფინანსურად უეკონომიო ეკონომიკა შეუქმნა. ვერავინ დამისახელებს ჩვენში ისეთ მრავალწლიან კულტურას, რომელმაც სტაბილურად ეკონომიკური კონკურენცია გაუწია ჩაის, თუნდაც, თეორიულად. ამიტომ, ჩემი აზრით, ჩაი არა მხოლოდ პრიორიტეტული, არამედ სტრატეგიული დარგი იყო დასავლეთ საქართველოში. ამას არ სჭირდება ბევრი ფიცი-მტკიცი, არც ღრმა ეკონომიკური ანალიზი, გადახედეთ ჩვენს სოფლებს ვიზუალურად, შეიხედეთ ჩვენი სოფლების ოჯახებში და ნათლად დაინახავთ, რა ვიყავით ჩაის დროს და რა ვართ ჩაის შემდეგ!

ჩაის მონურ კულტურად გამოცხადებისა და ამავდროულად მისი მასობრივად გაპარტახების მიზეზების სამართლებრივ მოძიებაზე რომ მიდგეს საქმე, როგორც კომუნისტური ხანის მმართველობის, ისე დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების თაობების ნახევარზე მეტი გისოსებს მიღმა აღმოჩნდება, რადგან ჩაისთან მიმართებაში ლამის ყველამ დააშავა, ლამის ყველა ტყუის. დღეს უკვე ცხადია ისიც, რომ ქართული ჩაი ჩვენზე ზეგავლენის მომხდენი დიდ ქვეყნების პოლიტიკამაც შეიწირა.

რომ იტყვიან, „რაც იყო, იყო, წავიდა, ნიკო“, მაგრამ ახლა, როცა დარგის გაცოცხლების საკითხი დადგა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, პასუხისმგებელი პირების ერთი ნაწილი, თავინთი ბიუროკრატიული ქმედებით, ისევ კომუნისტურ რელსებზე შესმას უპირებს წარსულში ამ „ძეგლდასადგამ“ მცენარეს, მეორე ნაწილი კი, კაბინეტიდან გამოუსვლელად აცხობს და აცხობს დილეტანტურ კონცეფციებს.

ჩაი ასფალტზე არ მოდის, ბატონებო!

როგორ ვთქვა, მაგრამ ცოტა დაბნეულები ჩანან, მგონი, არც ის იციან, რით დაიწყონ. რით დავიწყოთ და უპირველესად, ჩაისა და ულუკმაპუროდ დარჩენილ მეჩაიეებს ბოდიში უნდა მოვუხადოთ, მერე, უპირველესად, პროფესიონალები ჩავრთოთ საქმეში, ანასეულის ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალს ამოვაშვებინოთ არტახებიდან ხელი, რამეთუ ჩაი ამ ხალხმა ყველაზე უკეთ იცის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. რამდენადაც ვფლობ ინფორმაციას, ხსენებულ ინსტიტუტში, კონკრეტულად ჩაქვის ფილიალში შენარჩუნებულია ქართული ჩაის გენოფონდი. თუ ვაშენებთ, ქართული უნდა გავაშენოთ, აპრობირებულიც და გამართლებულიც!

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ერთი „გურიელი“ ჩაიში სასურველ ამინდს შექმნის, ან სხვა თითო-ოროლა, არანაკლებ ცნობილი ქართული ბრენდები აღორძინებენ დარგს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძირითადად უცხოელ ინვესტორებს მივანდოთ ეს საშვილიშვილო საქმე.

არამც და არამც!

კარგად გვახსოვს ისეთი პერიოდიც, როცა მეჩაიეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან უცხოელ ინვესტორს ჩავურიცხეთ თანხები. შევარდნაძისეული მოტივიც გემახსოვრებათ ამ საკითხზე: „მარტინ ბაური“ მხოლოდ ინვესტორი არ არის, პოლიტიკაცაა“(?!). მწარედ შემორჩა მეხსიერებას ის, რომ პლანტაციებისა და ფაბრიკების დაუფლების შემდეგ, სხვა ინვესტორებმაც ფეხებზე დაგვიკიდეს. ამიტომ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინვესტორი მაინც ვინმეს ტორია და ვინმეს ტორის მოიმედეობა დიდ შედეგს არაფერში მოგვცემს.

ჩაი ფაქტობრივად მიცვალებულია და თუ გავაცოცხლებთ, ჩვენ უნდა გავაცოცხლოთ, რადგან ვიცით, სად, როგორ და როდის მოვკალით, ახლა კი უნდა გავიგოთ, სად, როგორ და როდის შთავბეროთ სული.

ძნელი, მაგრამ აუცილებელი საქმეა. ჩაი ჰაერივით სჭირდება ეკონომიკურად დაძაბუნებულ საქართველოს. თუ გვინდა, მოვინდომებთ და ეტაპობრივად მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიან ჩაის პროდუქციას შევქმნით, თუ არა, მაშინ ნებისმიერ მაღაზიაში „ახმედჩაისა“ და „მარიამჩაის“ მეტი რა ჰყრია, შევიძინოთ და გავიჭყიპოთ სუროგატების ნაყენის სმით და თუ მაინცა და მაინც ხელი მოგვექავება და ჩაის კრეფის ნოსტალგია მოგვეძალება, ორ ნაბიჯზეა ჩვენი „მარჩენალი“ თურქეთი.

**თემურ მარშანიშვილი**

# სკანვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | ძვირფასი ლითონი | მოსახსენებელი წიგნი | | | | |
| | | | | | | საღებავის სახეობა | | ქალი | | უნგრეთის დედაქალაქი | | | | | ცალი ფეხის ბორკილი | |
| | | | | | | | | | | | | | დამატებითი ქულა | გრენლანდიის აღმომჩენი | | |
| | | | | | | მუსტაფა ქემალ-ფაშას ფსევდონიმი | | | | რძის ნაწარმი | | | | გიჟი, შმაგი | | |
| | | | | | | | | | | ..... სკორცენი | | | | | | |
| | | | | | | ქალის სახელი | ეროვნული პარკი საფრანგეთში | ბოსტნეული | | | | | | | | შაქრით ცნობილი სოფელი |
| | | | | | | სიგრძის ერთეული | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | ..... ჯუღაშვილი | |
| | | | | | | ზამშე | | | | საგანა | | მდინარე რუსეთში | | | | კაცის შიდა ტანსაცმელი |
| | | | | | | | | შემახილი | | | | | | | ცემენტის ფუნდამენტი | |
| | ჰომოსექსუალი | | ვულკანი პანამაში | | | სათამასუქო თავდებობა | | | მდინარე აზერბაიჯანში | | | | | | თასმა | |
| | უძველესი სახელმწიფო კავკასიაში | დიახ | | | | | | | თამაშის ეშხში შესვლა | | სახრავი | | სუბტროპიკული მცენარე | | | |
| | | | | | | | | | | | | | | პირუტყვის საკვების შესანახი | | |

## №3-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — იაკობ ნიკოლაძე; უარყოფითი შტრიხი — ნაკლი; ქაღალდზე დაწერილი შელოცვა — ავგაროზი; მხევლის ქვეშევრდომი მსახური — მატრაკვეცა; საუნივერსიტეტო ქალაქი — იენა; სამარშრუტო სვლა — რეისი; სალექსო ფორმა - ტერცინა; მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში — ტალი; სასამართლოს თავმჯდომარე — მდივანბეგი; მუნიციპალიტეტი სამეგრელოში - აბაშა; მომღერალი ივანიშვილი — ბერა; შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი — ქარელი; ქალაქი რაჭაში — ონი; ხასიათი — ზნე; ძველი ქართული ფული — მარჩილი; მატყუარა — ცრუ; მდინარე ციმბირში — ლენა; კითხვა უსულოთათვის - რა; სოფელი სამეგრელოში — ჭურია; საესტრადო ანსამბლი — ორერა; დიდი ჩაქუჩი — ურო; შ. დედაბრიშვილის ფსევდონიმი — არაგვისპირელი; მარცხი - რიალი; საწერი საშუალება — კალამი; მანდარინის ჯიში — კლემენტინი; ძაღლის ჯიში — ჩიჰაჰუა.

# ეპოქა ფირალთა ზეობისა
# მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

დასაწყისი იხილეთ №31 3 აგვისტო, 2015 წელი, №2--5 2016 წ



გასული საუკუნის მიწურულსაც კი, თედო სახოკიას გურიაში მოგზაურობის ჟამს უდაბური და უსიერი ტყეებით გარშემორტყმული ოზურგეთიდან დამაკავშირებელი თითქმის საცალფეხო ბილიკები მექაში მიმავალ მაჰმადიან მომლოცველთა საქარავნო გზების ანალოგიას წარმოადგენდა, საცა მსგავსად მომთაბარე ბედუინებისა, გურულ ფირალთა, ტერორისტთა თუ მაუზერისტთა უცარი გაელვება და გამოვარდნა მუდმივ საშიშროებას უქადდა მგზავრებს.

თედო სახოკია გადმოგვცემს: ნატანებიდან ოზურგეთისაკენ მიმავალ გზაზედ, ,,სოფლები არ ჩანს, მთელ 10-12 კმ-ის მანძილს ისე გაივლის კაცი, ორ სამგან თუ შეხვდება გზის პირად გადმოდგარ სახლებს. უმეტესი ნაწილი გზის აქეთ-იქეთ მდებარე ადგილებისა ან დაბურულ ტყეს უჭირავს, სადაც წიფელი ყველა ხეებსა სჭარბობს, ანდა, სადაც ტყე გაკაფულია, მთელი ზღვა სიმინდის ყანებისა. გარშემო გამეფებულ მყუდროების დარღვევას ვერავინ ბედავდით. მერიას მივატანეთ, მე-7 თუ მე-8 კილომეტრია ნატანებიდან. გზა ისევ დაბურულ ტყეზე მიდის და ასე გრძელდება ერთ ორგან უდაბურ ადგილას, გზის პირას, ფარღალალა კარვები შეგვხვდა, შიგ შეაღებული გლეხები ისხდნენ ცეცხლს გარშემო, ესენი იყვნენ მცველნი მგზავრთა, მათი უზრუნველმყოფელნი...

ამ ოთხი წლის წინათ, როცა დარჩიას, ნიკოლაიშვილის, მიქელაიშვილისა და სხვა ცნობილი ფირალების მარტოოდენ სახელის გაგონება შიშის ზარს სცემდა ამ გზით მოსიარულეთ, განსაკუთრებით ვაჭრებს. მეტის-მეტი გაჭირვება თუ გაბედვინებდა წინეთ მგზავრს ამ გზით სიარულს, ისიც ზარბაზნის გარდა ყოველგვარი იარაღი ზედ აესხათ უეჭველად.

აქე ვრცლად და ფართოდ მიმოიხილავს გურულთა ფიცხელ ხასიათთან ერთად გურიაში ფირალობის გამოწვევ მიზეზებს და სათანადო, საფუძვლიან ანალიზსაც უკეთებს მას.

,,გურიას ერთ ხანს მეტად ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. ზოგნი, ვინც არ იცნობდნენ იქაურობას, ამბობდნენ: ბუნებაა ისეთი, ყაჩღობა აქაურების დაბადებითვე თანდაყოლილი თვისებაო. გურული თუ არა სმარცავს, თუ ვისმე ყელში არ უჭერს და არ აღრჩობს, ისე გული ვერ მოუსვენებსო. ყოველივე ამ ვითომ თანდაყოლილი, თვისებით უნდა აესხნათ. კერძო ფაქტი უეჭველად უნდა განეზოგადებინათ: ერთს რომ რაე სიწუწკე ჩაედინა, უეჭველად ბუკითა და ნაღარით დუნაისათვის უნდა შეეტყობინებინათ: შეხეთ გურულებს, ქვეყნას ძილს უფრთხობენ, მათზე ახი იქნება, სულ ავყრიდეთ აქედანაო. კმაროდა, გურულს მარცხად, სრულებით უნებლიედ, რაიმე კანონის საწინააღმდეგო დამართნდა, მაშინვე ფეხზე დადგებოდნენ ყველანი: არიქთ, შეთოკეთ, გაწკეპლეთ, ჩაგდეთ ბნელეთში, მზის? ნათელს დანატრეთ, ეგზეკუცია ჩაუყენეთ ოჯახშია. არც კი დაკლიდნენ ბოდიში მოეხდნა დანაშავეს: ისე გაბოროტებდნენ ლანძღვით, ისე თვალის დახამხამებაში შეჰლახავდენენ მის თავმოყვარეობას, მის წმიდათა-წმიდას, რომ კაცი იძულებული ხდებოდა ფირალად გაკარდნილიყო, ე. ი. ისეთ კაცად იქცეოდა, რომლისთვისაც არ არსებობდა, როგორც ფრანგები ამბობენ, არც რეკული, არც კანონი.

გურული ფირალი უკანასკნელი სისტემის თოფს იყენდა. პატრონებით დაიტენებოდა და გავარდებოდა, საგანი გავარდნისა ორი ჰქონდა: ერთი-შური ეხა შეურაცმყოფელზე, და მეორეც - თავი დაეფარა მდევნელთაგან, ფირალი თარეშობდა რასაკვირველია მანამ, სანამ არ მოჰკლავდნენ სადმე, საკვირველი ის იყო, რომ მოკლულს გაკიეას არ აცლიდნენ მაშინვე მის ადგილას მეორე ჩადგებოდა, გაიჩენდა ამსანაგებს და ძილს უფრთხობდა ყველას.

ხალხი წელში წყდებოდა,,რა ღონეს არა ჰღონობდა ფირალობის ამოსაკვეთად, მაგრამ ამ უკანასკნელს მაინც ბოლო არ ელებოდა, იტყოდით, ერთ ხანს თითქოს დასცხრნენო, ეს არის, თავისუფლად ამოვისუნთქვეთ და, გაიხედავდით, ერთბაშად თოფის წამალივით ფეთქებდნენ, თან, არავინა ფიქრობდა, გურულის ბუნება გაეცნო, მისი თვისება გამოეკვლია. აქაც იმავე ზომასა ხმარობდნენ, რასაც სხვაგან სრულებით წინააღმდეგი ტემპერამენტის ხალხთანა ხმარობდნენ. ეს აუწონ-დაუწონლობა იყო მიზეზი, რომ ცდა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა და გურიას ფირალობა საბედისწეროდ დაჰყოლოდა.

ტყეში გავარდნილი საუკეთესო სისტემის თოფ-იარაღში ჩასილლაღებული??? ფირალი ნაცვლად მთავრობისა და ხელისუფლებისა ,,ამმავალი მარქსიზმის'' წითელმა აგიტატორებმა და პროპაგანდიტებმა მოიხელთეს მათი გამზიდობა. ვაუკაცობა, გულ-უშიშრობა თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენეს. ,,ახალთობის მოძრაობა'' - პროლეტარულ წარღვნას შეეურთეს და ისედაც გზას აცდარი გურიის ქვეყნის საუკეთესო შვილები მოუსავლეთის - ,,ჯანდაბისა'' და ,,ჯურმუხეთისაკენ'' გაისტუმრეს-კომიტეტში შეიყვანეს და კომიტეტის ნებას დაუმორჩილეს. ნამდვილ მანქურთად და კაცის მკვლელად აქციეს.

ფირალები გურიაში დანერგილმა ,,მარქსიზმმა იყო ხელთ''.

ფირალობიდან ,,ტერორისტობამდე'', ,,მაუზერისოტბამდე'' და ბოლშევიზმამდე ერთ ნაბიჯიღა რჩებოდა. წარსულს ჩაბარდა სტრაჯუბთან მორკინალ გმირული ეპოპეთ აღსავსე ეპოქა, სისონა დარჩიასა და სხვათა მსგავსად ,,წიფელის ძირში'' შეფარებული რამ დარაჯობდნენ ,,პრისტავსა და მის ქოფაკებს'' მარქსიზმის ნებითა და ხემძღვანელობით მანამდე თითქოს უწყინარმა გურულმა ფირალებმა არნახულ ტერორიზმს დაუდეს სათავე. ამ არნახული ძალის წინაშე შეძრეა, შეშინდა, ნიკოლოზის ხელისუფლება. ტყეში მიმალული ფირალები უსიერი ტყეებიდან დაბა-სოფლებისა და ქალაქებისაკენ გამემურთნენ ძალაუფლების დასაპატრონებლად. ძარცვა-გლეჯა შეცვალა მანამდე უცნობი ახალი ,,კლასიკური ტერმინით'', მარქსიზმის საფუძვლების თანასწმდ მას ,,ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია''- ანუ მაუზერის ძალითა და მუქარით სხვისი ქონების ნაშრომისა თუ ნაკაფის ხელში ჩაგდება ეწოდა. მიზანი ამართლებდა საშუალებას. მიზნის მისაღწევი საშუალება მრავალგვარი არსებობდა. მათ შორის სისხლთ თხევას უპირველესი ადგილი ეჭირა.

ასე იყო ,,ფირალთა ჟამიანობის ჟამს'',ასე გრძელდებოდა მაუზერისტთა ზეობის უმთავრეს მონაკვეთში: 1900-1907 წ-ში.

ოგივე თედო სახოკია გადმოგვცემს: სოფელ დვაბზუმდე გზა ერთ გრძელ, დაუსრულებელ ხეივნში გადის, ხოლო ამ სოფლის შემდეგ დაბალი ტყე იწყება, თვით მოსახლენი იშვიათად შეხვდება მგზავრსა. ეს გზ? ადრე, ფირალობის დროს, საშიშად ჭრნდა აქ მოგზაურობასა და თვით ფირალებს დიდად შეუწყობდა ხელსა. თანამგზავრებმა ის ისტორიული პუნქტიც მიჩვენეს, სადაც რომელიღაც ფირალის, - არ ვიცი მიქელაიშვილის, არი ვიცი მეხუზლას, არა ერთხელ დაუცია შიშის ზარი გამვლელ ვაჭრისათვის.

ყველა მგზავრსა და მოგზაურს, ეულად მავალთ თუ ჯგუფ-ჯგუფად შეკავშირებულთ განსაკუთრებულ შიშის ზარს გვრიდა ნასაკრალის გადასასვლელი. ნასაკრალი გურიის ,,ჯანდაბა'' და ,,ჯურმუხეთი'' . ნასაკრალი-გურულ მაუზერისტთა მიერ გათხრილი სამარე გურიის მაზრის უფროსის ლაზარენკოსა და მისი პლასტუნებისათვის. მარქსიზმის ბანგით გათანგულ გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის აპოფოზი.

გაზ. ,,ივერიის'' კორესპონდენტი 1882 წლის 1 დეკემბერს წერდა, ოზურგეთში მიმავალს წინ მედო ნასაკრალი, რომელიც იშვიათად ვინმეს გაუშვებს უშიშრად და უხიფათოდ ნასაკრალი-სადაც ყოველ ცისმარე დღეს სასაცილო დ თან სატირალი ამბები ხდებოდა. მართალია ჩემს ჯიბეს ფულისა არა ეპადა რა, რომ შიშის ავეტანე, მაგრამ ვიცოდი, ჯიბე ცარიელობა (ფირალისა და ავაზაკის) პნლური აუცილებლად მოჰყვებოდა, ესეც მაშინ, თუ ნასაკრალის მბაჯენი კარგს გუნებაზედ იქნებოდნენ, თუ არადა შეიძლებოდა, ამ თავ-გასულ ვაჟაკაცებს არ მოვსწონებოდი თვალში და სამუდამოდ გავესტუმრინე საიქოს.

ბევრის ყოყმანის შემდეგ დავვიწყე შიშიც, ყოყმანიც, სირცხვილიც, სიცოცხლეცა და სიკვდილიც და დავდექი (ნასაკრალს) გზას. (თან პოლიციის იმედიც მქონდა) ჩვენი პოლიცია ფეხიელია, ბარე ორჯერაც გამოეგზავნა ბოქაული და ყაზახ-რუსები, ნასაკრალის მბაჯეთა შესაბოჭვად, მაგრამ ვერას გამხდარა. თითონ ნასაკრალზედაც (წესრიგის დაცვის მიზნით) რამდენიმე ალაგას სოფლიდან გამოწვეული ყარაულები დარაჯობენ, მაგრამ ამოდ, ფირალები მაინც ფირალობენ და ოგინ რა ჯანდაბას უყურებენ აქ არ ვიცი... გულმა ბგა-ბუგი დამიწყო. ფერიც მეცვალა. მივადექი საყარაულო კარავს, სადაც ერთის მეტი ყარაული ველარ ვიპოვე და ისიც გოდორს სწნავდა.

- დღეს გაძარცვეს ვინმე? დავეკითხე

- დღეს ვგონებ არავინ, - ყოყმანით მიპასუხა.

ჩემს მოსაუბრე ყარაულის, საომარი იარაღი, ვარდა დანისა და წალდისა, რომლითაც გოდორს წნავდა არაფერი ჰქონია. გამიკვირდა ვკითხე: გაოცებულმა: თოფი რატომ არ გაქვთ?

პასუხი გამცა-იმიტომ რომ ვფრთხილობო!

-ეგ სადაური სიფრთხილეა? - ხელახლა დავეკითხე

- მგას იქითა კარავში ვეტყვიან...

მეორე კარავთანაც ერთი ყარაული დამიხვდა, ისიც უთოფოდ, შეეკითხე: ,,კაცო თოფი რატომ არ გაქვს მეთქი'', - მეშინიანო, მიპასუხა. თუ ვეშინიან თოფი უფრო საჭირო არ არის? არა ბატონო ჩვენს ქოთაში სხვაფერი წესია, მაგრამ შენს გზაზედ რომ წასვლიდეე უკეთეს იზამ.

მივაღწიე მესამე კარავს, იქაც უთოფო ყარაული დამხვდა, ისინ ყველაფერი მიამბო, ყარაულებს თვითონ, ეშინიათ ყაჩაღებმა თოფი არ წამართვანო, ამიტომ ფრთხილობენ და უთოფოთ ყარაულობენ, ღვთის წინაშე, არც გასაკიცხნი არიან ყაჩაღები, რომლებიც მარტინის სისტემის თოფებით ყოფილან აღჭურვილნი, სოფლელებს კი ძველებური ცალკვესიანი თოფები აქვთ, რაც დიდ ღვთის წყალობად უნდა ჩაეთვალოს. სანამ კვესი ტალს ნაპერწკალს გააგდებინებს და საპირწამლეში და ლულაში წამალს აფეთქებდეს, მანამ მარტინა თხუთმეტჯერ დაიქუხებს...

მივატანე ოზურგეთს და ღმერთს მადლობას ვწირავ რომ ყაჩაღებს გადავურჩი. - ოზურგეთში რაღაც არაჩვეულოებრივი მოძრაობა და მითქმა-მოთქმაა. სახეზე ყველას განცვიფრება ეტყობოდათ და თვალებში შიში... ერთი ნაცნობისაგან გავიგე; დღეს ნატანებიდანნ ოზურგეთისკენ მიმავალ ფოსტას დახვდრიან ყაჩაღები, რიცხვით სამნი, რომელთაც ცხენები მოუკლავთ, საფოსტო ამბები მოუტანიათ, და გაქცეულან, არავინ იცის დანმდვილებით,, თუ რამდენი რა არის მოტაცებული, ამბობენ-კი, რომ ოზურგეთის ჩინოვნიკობა ამ თვის ჯამაგირს ეხლა მოელოდაო. უეჭველია რამდენიმე ათასი მანეთი იქნებოდა საფოსტო ბაგაში...

(გახშირდა ავაზაკობა) ნუთუ მართალა ისეთი საშიში დრო დგებოდა ჩვენ ბედკრულო, რომ არათუ კერძო კაცი და მისი ქონება, არამედ სახელმწიფო საკუთრება და სახოგადო დაწესებულებაც ხიფათში ჩავარდა? სადა აქვს შესართავი და სათავე ამდენ ბოროტმოქმედებას და ქვეყნის საზრუნველად მოწვეულთა უზრუნველყოფას?

ანისის არქეოლგიური გათხრებიდან გურიაში დროებით ჩამოსული ნიკო მარი წერდა: გახურდა ბრძოლა სამკვდრიო სასიცოცხლო და ამას თან მოჰყვა ძმის მიერ ღვიძლი ძმის ჟლეტა... ნორმალური და შეჩვეული ცხოვრება შეირყა, ძალმომრეობა გამეფდა და ახალ ძალებს გზა არ მეცა. თავი წამოჭყვეს კაკომოძულეობის გამავრცელებელთა. ამ ბოროტებამ ფეხი მოიკიდა მდაბიოთა წრეში და მეზობელთა კეთილგანწყობილება სისხლის ღვრით შეიცვალა. გაისმა სროლის ხმა და ცეცხლის ტკაცუნი... გაჩნდა უბედურება. გასაკვირი არ არის, თუ ამ საყოველთაო მოძრაობის დროს თავს იჩენს ზოგან ეროვნული, ზოგან კლასობრივი ანტაგონიზმი. გასაკვირი არ არის თუ ასეთ გარდამავალ ხანაში, როდესაც გაძლიერდა მოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრების მოწინააღმდეგე ელემენტებისა-უპირველეს ყოვლისა ხელიგნებისა და ავაზკთა ბრბოებისა... ესენიც ცდილობენ,ჩქარობენ საქმე, შესაფერისი მონაწილეობა მიიღონ ამ მოძრაობაში და მტაცებლობით ისარგებლონ, ამით ადვილად უერთდება ბრბო, რომელსაც ელვიძება დაბალი ინსტიქტი.

გურულის ბუნება,, მისი ,,ჯუნება—განწყობილება კაში არ ეტეოდა'' გლეხი თავადთან გატოლებას ცდილობდა. აღსავლის კარიბჭეს აღმა სვლით მიუყვებოდა, არც სუფრაზე უდგება ტოლს ბატონიშვილსა და არც ჩაცმა-დახურვაში, შეიარაღებაში სჯარბობდა და აღემატებოდა კიდეც. ხირიმ შემართულ გასაფრალებელს,რომელსაც შემდგომ ტერორის ფართო ასპარეზი ეშლებოდა წინ. აღარც ქალები ჩამოუვარდებოდენ შემართებაში, რაშიც შემდგომში შესაბამისი ასახვა ჰპოვა ,,ბოლშევიჩკათა მდედრიონში''. მარტო ნატალია ქიქოძის, გარეკით აგებული ,,ბავშვის ღვთისმშობლის'' ეკლესია, გაასწორა მიწასთან, წინაპართა ძვლები მიწის წიაღიდან ამოყარა და მათ საკუნო განსასვენებელზე ფეხბურთის სტადიონი გამართა.

მარქსიზმა გურული ქალის განუმეორებელი სილამაზე პოლიტიკაში გაახვა და საგარეო გზით წარმართა მისი ადრინდელი სანეტარო ცხოვრება.

ქართული ლექსისა და ქურუმი მზისა-გრიგოლ რობაქიძე წერდა:ლამაზი კუთხეა საქართველოსი, ძველი მესხეთის ნატეხია გურია. გურია მემკვიდრეა ძველი და მაგარი წინაპრის ,,გურიამ განამტკიცა საქართველოში სოციალისტური სწავლა... სოციალ-დემოკრატია საქართველოში გურულებმა შექმნეს... ასეთია ფაქტი, (გურულები) მემკვიდრენი ძლევამოსილი წინაპრის, რომლებიც ნივთიერი ყოფის უმწეობას განიცდიან. ფსიქიურად სწორედ ასეთი მემკვიდრენია გამზადებული. მდიდარი მატერიაულური ყოფა: ისტორიულ თანმიმდევრობას ისინი ვერ შეურიგდნენ. როდემდის უნდა ვიცადოთ? - აი მათი დამახასიათებელი პასუხი.

მარქსიზმის მოვლენებამდე, სოციალიზმმა შეაერყოლა ,,ნინოშვილის ქვეყანაში''. ,,ძველი ხალხოსანი და ანარქისტი'', თავისუფლად მოაზროვნე ამსანაგებთან საიდუმლო წრის დამარსებელი ქალაქ გორში, - სვიმონ სალარიძე წერდა:

,,ახალი კაცისა და ახალი ქვეყნის (პრობლემების)შექმნის პრობლემა მუდამ აღელვებდა კაცობრიობის მოწინავე პიროვნებათა წარმომადგენლებს. ტომას მორიდან დაწყებული ვიდრე ლენინამდე, მაგრამ ეს მდელვარება შეიქმნა მქუხარე თავისი ფორმით, შინაარსითა და შეგნებით მხოლოდ XIX ს-ის მქონე ნახევრიდან, როდესაც ისტორიულ სარბელზე გამოვიდა სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატი, რომელიც ამხედრდა გაბატონებული კლასის ტახტისა და ,,ოქროს კერპის'' დასაშხობად, შემდგომ ისტორიის ჩარხმა ჩაითრია საერთაშორისო ბრძოლის ფერხულში რუსეთი და კოლონიალური საქართველო.

საქართველო კონტრასტების ქვეყანაა... აღმოსავლეთ საქართველოში ვითარდება მწარმოებლობა, დასავლ?ში აღებ-მიცემობა, სიღარიბ? ბუდობდა დასავლეთ ს?ქართველოში (მონობიდან ხალხის განთავისუფლების მიზნით) 1879 წელს მე ვაწყობ თავისუფლად მოაზროვნე რამდენიმე ამხანაგისაგან საიდუმლო წრეს (წინა პლანზე ვაყენებთ იდეალს) ხალხის სრული განთავისუფლება უნდა იყოს ეკონომიური და პოლიტიკური. ,,ხალხის ავკანყება წმინდა უფლებაა'' და გლეხები უნდა დავაყენოთ ფეხზე. ხელიხელ გაყრილმა უნდა ვიმუშაოთ რუსეთის ტერორისტებთან და დავიწყოთ პოლიტიკური ბრძოლა: ტერორისტული აქტები, ხალხის ავკანყება და დემონსტრაციული გამოსვლები დაჩქარებს მონარქიულ მომპალ ხომალდისა და მის ფუძის დანგრევას.

**ენვერ გოგუაძე**

## სულთათანა

# ვალოდი თოხაძე



12თებერვალი შენი დაბადების დღეა. 6 თვე გახდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, რასაც შენი გარდაცვალება ჰქვია. დაგვიტოვე ყველას გაუსაძლისი ტკივილი და დიდი მონატრება. ვეღარ დაამშვენებ ჩვენს ეზოს, შენ ერთადერთ დალის, შენს ნათესავ-მეგობრებს, მეზობლებს და ჩვენს ქალაქს. შენს საყვარელ მარინასთან ერთად შექმენი შესანიშნავი ოჯახი. აღზარდეთ ორი ღირსეული შვილი თორნიკე და სალომე, რითაც შენ და ჩვენ ყველანი ძალიან ვამაყობდით. შენმა უბედურესმა დედამ ვეღარ გაუძლო ამ ტკივილს და მოგაშურა ზეციურ სასუფეველში.

როგორ განსაკუთრებულად ემზადებოდი საღღესასწაულო დღეების აღსანიშნავად და ვერც შენებურად შეხვდი სიძეს ზურას, რომელიც შენი სიამაყე იქნებოდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

გვიყვარხარ, გვენატრები.

**ნუკრი, მაიკო.**

# მილოცვები

ქ. ოზურგეთის №1 საბავშვო ბაღის აღმზრდელს, ბედნიერ დედას **მაკა ურუშაძეს** ვულოცავთ მეხუთე შვილის, პაცვარა ანა ჩხაიძის შეძენას. პაცვარა ანას კი ვუსურვებთ ბედნიერ ბავშვობას, უღრუბლო ცას და ლამაზ მომავალს.

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაცია.**

დიდებულ პიროვნებას, კარგ ლოტბარსა და ხელმძღვანელს, ბატონ ბიძინა მჟავიას 2016 წლის 14 იანვარს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამათის სახალხო ანსამბლ „ხელხვავის“ და ოზურგეთის ფოლკლორული ანსამბლ „იადონის“ წევრები გულითადად ულოცავენ თავიანთ ლოტბარს ამ ლამაზ საიუბილეო თარიღს მოკრძალებული ლექსით:

დაბადების დღეს გილოცავთ
შობასა და კალანდასა,
ჩვენს ანსამბლში ეს თარიღი
ნამდვილ ზეიმს დაემსგავას.
„ხელხვავის“ და „იადონის“
ხართ ლოტბარი —ხელმძღვანელი,
ღვთის წყალობით კიდევ დიდხანს
ყოფილიყოთ შეუცვლელი.
კულტურა და ხელოვნება
ჩვენს მამულში მუდამ ქუხდეს,
მუდამ გქონდეს სიხარული
და არავინ არ შეწუხდეს.
დიდებული ცოლ-შვილი გყავს
და მრავალი შვილთა-შვილი,
ჩვენს დალოცვილ გურიაში
ღირსეულად გამოზრდილი.
იცოცხლონ და გაიხარონ
გავიტანოთ ყველამ ლელო,
შრომითა და სიმღერებით
ვასახელოთ საქართველო.

**რევაზ როყვა,**
ანსამბლ „ხელხვავის“ წევრი,

# ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№11ა.

რ

# განცხადებები

ოზურგეთის ცენტრში იყიდება კომპლექსი „არგო-რესტორანი“ – 120 კვმ;

სამასკაციანი საქორწინო დარბაზი - 330კვმ.

VIP ბუხრიანი კუპე – 50 კვმ

მაღაზია – 46 კვმ

მთლიანად ან ცალ-ცალკე

ტელ. 555 75 42 09

შევიძენ ბინას კორპუსის სახლში

ტელ. 577 60 11 88

# ლანჩხუთის „გურიას ახალი ლეგიონერები

მიმდინარე სეზონის მეორე წრისთვის ლანჩხუთის გურიას დიდი გეგმები აქვს , როგორ კლუბის დირექტორი აცხადებს ლანჩხუთის გურია დაიბრუნებს ძველ დიდებას .კლუბში მიმდინარე სეზონში უკვე მოიყვანეს რუსი სპეციალისტი ვიქტორ დემიდოვი და სამი ახალი ლეგიონერი.

ლანჩხუთის გურიის ახალი მეკარე 24 წლის უკრაინელი ანდრეი პოლტავცევი . გურულებმა მეკარე ლუგანსკის „ზარიადან“ გადმოიყვანეს. მეკარის ამჟამინდელი სატრანსფერო ფასი 200 000 ევროა.

კიდევ ერთი ლეგიონერი ამჯერად კოსტა რიკელი მაურისიო ნუნეზი.ტანდაბალი ფლანგის მცველი „ჰერედიანოდან“ შეუერთდა გურიას. ნუნესი იყო კოსტა რიკის 20 წლამდელთა ნაკრების წევრი, სადაც 6 მატჩი ჩაატარა, ამჯერად კი 23 წლამდე ნაკრების ფეხბურთელია. 22 წლის მცველის სატრაფსფერო ღირებულება 150 000 ევროა.

გურიის მესამე ლეგიონერი კი 24 წლის სომეხი არტაგ ალექსიანია. 24 წლის შემტევი ნახევარმცველი „ტორპედო“ არმავირიდან შეუერთდა გურულებს. ალექსიანი იყო სომხეთის 19 წლამდე და 22 წლამდე ნაკრებების წევრი , ამჯერად კი სომხეთის ეროვნული ნაკრების წევრია ,სადაც 2 მატჩი აქვს ჩატარებული. ალექსიანის სატრანსფერო ღირებულება 300 000 ევროა.

ახალი ფეხბურთელების დამატების შემდეგ „გურიამ“ ამხანაგური მატჩი ჩაატარა ცხინვალის „ცხინვალთან“, თუმცა ლანჩხუთლებმა ახალი ლეგიონერების დამატების შემდეგაც ვერაფერი გააწყო ცხინვალთან და 1:3 წააგო.

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ლანჩხუთის გურიაში ყველაზე მეტი 5 ლეგიონერი თამაშობს.

# საქართველოს პირველობაზე ფარიკაობაში

**ალიონი.** იანვრის ბოლო რიცხვებში ქალაქ რუსთავში, ქიმიკოსთა სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს პირველობა ფარიკაობაში კადეტთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აჭარის, აფხაზეთის, ზესტაფონისა და ოზურგეთის გუნდები.

დაშნით ფარიკაობაში ყველა მოგებით პირველობა არავის დაუთმო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ შრომის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე გელა მჟავიამ. მან ფინალური ორთაბრძოლა 15:10 მოიგო და მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

მხოლოდ ერთი ბრძოლა დათმო ქუთაისელ კახა მიქაძესთან გელა მჟავიას თანაკლასელმა გიორგი კვაჭაძემ და მე-3 ადგილზე გამოვიდა. (მწვრთნელი მალხაზ კვაჭაძე).

გამარჯვებულები უხუცესმა მსოფლიო ჩემპიონმა გურამ კოსტავამ და ვეტერანმა მოფარიკავემ გიორგი ჯიღაურმა დააჯილდოეს.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | |
|---|---|---|
| 8 თებერვალი, ორშაბათი | მზე, ღრუბელი | -2+8 |
| 9 თებერვალი, სამშაბათი | მზე, | 0+10 |
| 10 თებერვალი, ოთხშაბათი | მზე, | +1+12 |
| 11 თებერვალი, ხუთშაბათი | მზე, | +3+13 |
| 12 თებერვალი, პარასკევი | მზე, ღრუბელი | +7+14 |
| 13 თებერვალი, შაბათი | მზე, ღრუბელი | +8+15 |
| 14 თებერვალი, კვირა | მზე, | +7+15 |